

# ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობის შეფასება


საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო


2017

# სარჩევი


შესავალი 3

თავი 1. ძირითადი მიგნებები 4

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს შესახებ 5

თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები 12

თავი 4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი 14

თავი 5: მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში 15

თავი 6: კავშირი ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება, შეუთავსებელი საქმიანობა 16

თავი 7: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები ხარჯები 18

რეკომენდაციები 21

# შესავალი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეფასებას. მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს გამოქვეყნდა კვლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საქმიანობის შესახებ, ამჯერად კი წარმოგიდგენთ თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობის შეფასებას.

**აღსანიშნავია, რომ თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უახლოეს დღეებში შეწყვეტს არსებობას**, რადგანაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის ივნისში თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად თორმეტიდან ხუთამდე შემცირდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, აღნიშნული ცვლილება შეეხო ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტსაც. “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” ეწინააღმდეგებოდა ვითმმართველი ქალაქების შემცირების იდეას, თუმცა ჩვენი პოზიცია საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ არ გაიზიარა. **მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობისას გამოვლენილი ხარვეზების, გამოწვევების, საკრებულოს წარმატებული აქტივობებისა და გამოცდილების გაზიარება/ გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს 2017 წლის 21 ოქტომბერს არჩეული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას, რომელიც უახლოეს ხანებში შეიკრიბება და გამართავს პირველ სხდომას.**

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

**კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2014 წლის ივლისიდან 2017 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით დროის მონაკვეთს.**

# თავი 1. ძირითადი მიგნებები

- ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელ ორგანოზე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ პირებზე სუსტ საზედამხედველობას ახორციელებდა, საკრებულოს მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა;

- საანგარიშო პერიოდში ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს ჩატარებულ სხდომათა (196) თითქმის 42% რიგგარეშე სხდომებზე მოდის;

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ ზუგდიდის საკრებულომ **696 სამართლებრივი აქტი მიიღო**, რომელთაგან **551 აქტის** ინიციატორი ქალაქ ზუგდიდის მერია, **155 აქტის** ინიციატორი კი თავად საკრებულო იყო;

- ქალაქ ზუგდიდის საკრებულო სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტებს შორის გამორჩეული იყო საჯაროობის, მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით, საკრებულოს ვებ-გვერდი "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიერ 2017 წლის იანვარში გამოქვეყნებულ კვლევაში რეგიონში ყველაზე ინფორმაციულად და გამჭვირვალედ იქნა შეფასებული.

- ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს შემთხვევაშიც პრობლემატურია თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის არასრულად შევსება, სულ ასეთი ორი ფაქტი იქნა გამოვლენილი, კერძოდ - **ბიზნესთან კავშირი** აქვს **ლევან კონჯარიასა** (ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე) და **თენგიზ ხარჩილავას** (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდჯომარე), ასევე **ორივე შემთხვევაში** აღნიშნული **ბიზნესინტერესები არ არის დეკლარაციაში ასახული**;

- საანგარიშო პერიოდში ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში პრემიისა და დანამატის სახით ჯამში **444 479 ლარი გაიცა**; მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ზუგდიდის საკრებულომ მიიღო დადგენილება პრემიის გაცემის წესის შესახებ, იგი არაერთ ხარვეზს შეიცავს და იძლევა პრემია/დანამატის დაუსაბუთებლად გაცემის შესაძლებლობას, შესაბამისად პრემია/დანამატები უმეტეს შემთხვევაში გაიცემოდა არა რაიმე სახის კონკრეტული დამსახურებისათვის, არამედ კვარტალურად და დღესასწაულებზე;

- ქალაქ ზუგდიდის საკრებულომ 2015 წლის ოქტომბერში მიიღო ეთიკის კოდექსი, რომლითაც დადგენილ იქნა საკრებულოს წევრის პროფესიული და ეთიკური სტანდარტები. თუმცა საკვლევი პერიოდის განმავლობაში ეთიკის კომისია მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და მას კოდექსის მოთხოვნათა დაღვევის ფაქტი არ დაუდგენია.

# თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს შესახებ

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესით **ახორციელებს თვითმმართველობას** ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში **კონტროლს უწევს** აღმასრულებელი ორგანოს - მერიის და მერიის თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ქალაქ ზუგდიდის საკრებულო შედგება **15** წევრისაგან, რომელთაგან **5** წევრი არჩეულია ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო **10** წევრი – პროპორციული წესით.

საკრებულო, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ და მათი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", საკრებულოს რეგლამენტითა (შემდგომში – რეგლამენტი) და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი **კომისიები**:

1. საფინანსო, საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია
2. იურიდიულ, სამანდატო, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეთიკის კომისია
3. ეკონომიკის, ურბანული განვითარების და ქონების მართვის საკითხთა კომისია
4. განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
5. ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია

## ► საკრებულოს მიერ არჩეული თანამდებობის პირები

2014 წლიდან ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე და მოადგილე ორჯერ იქნა არჩეული - 14.07.2014 წელს თავმჯდომარედ მერაბ ქვარაია აირჩიეს, თუმცა მას უფლებამოსილება 2016 წელს საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემდეგ შეუწყდა, რის შემდეგაც 2017 წლის 27 მარტს საკრებულოს ახალ თავმდჯომარედ ნატალია შეროზია იქნა არჩეული. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, 2014 წლის ივლისში ეს პოზიცია დაიკავა გიორგი თოდუამ, იგი 2017 წლის აპრილში გადააყენეს აღნიშნული თანამდებობიდან და ახალ მოადგილედ თაზო ფაცაცია იქნა არჩეული.

საკრებულომ კი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გარდა ზემოთქმულისა, შემდეგი თანამდებობის პირები აირჩია:

- 18.07.2014 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ფარცვანია.
- 18.07.2014 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და სამანდატო, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ სარია.
- 18.07.2014 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ქორჩუა.
- 18.07.2014 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნატალია შეროზია.
- 18.07.2014 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნათია ფიფია.
- 03.04.2015 წელს დანიშნულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარედ კახაბერ ფარცვანია.
- 03.04.2015 წელს დანიშნულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ნიკოლოზ ზარქუა.
- 14.04.2016 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ხარჩილავა.
- 27.03.2017 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნატალია შეროზია.
- 05.05.2017 წელს არჩეულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ გოგილავა.

## ► ფრაქციები:

საკრებულოში საკვლევი პერიოდის განმავლობაში შემდეგი ფრაქციები ფუნქციონირებდა:

1. ფრაქცია “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”
2. ფრაქცია “ქართული ოცნება - რესპუბლიკელები”
3. ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” (ფრაქცია გაუქმდა 2017 წლის 10 ივნისს)
4. ფრაქცია “ზუგდიდის მომავლისთვის” (ყოფილი “ქართული ოცნება-დემოკრატები, კონსერვატორები”)

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა მიერ ჯამში 82 საკითხი იქნა ინიცირებული, რომლითაც მოითხოვდნენ სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას; ცვლილებებს მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებში; მუნიციპალიტეტში არსებული ცალკეული პრობლემატური საკითხების შესწავლას; გარევაჭრობისა და ავტომობილების პარკირების პრობლემის გადაწყვეტასა და ა.შ. ინიციატივების ნაწილი საკრებულოში წარმოდგენილი იყო წერილობითი, ნაწილი კი ზეპირი ფორმით. ფრაქციათაგან ყველაზე მეტი ინიციატივა წარმოადგინა ფრაქციამ “ნაციონალური მოძრაობა”, ყველაზე ნაკლები კი ფრაქციებმა “ქართული ოცნება - რესპუბლიკელები” და “ზუგდიდის მომავლისთვის”.

*დიაგრამა N1: ფრაქციების მიერ ინიცირებული საკითხების რაოდენობა*




**ფრაქციების მიერ ინიცირებული საკითხების ჩამონათვალი იხილეთ შემდეგ ბმულზე.**

## ► საკრებულოსა და ბიუროს სხდომები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს **196 სხდომა** ჩატარდა, მათ შორის **81** რიგგარეშე სხდომა, ყველა რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატორი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის *საკრებულოს თავმჯდომარე* იყო. აღსანიშნავია, რომ კვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს სხდომა არც ერთხელ არ ჩაშლილა.

*დიაგრამა 2. ჩატარებული საკრებულოს  სხდომების რაოდენობა*




რაც შეეხება საკრებულოს **ბიუროს სხდომებს**, იგი სულ 115-ჯერ ჩატარდა, რა დროსაც ბიუროს მიერ მომზადებულ იქნა სხვადასხვა **სამუშაო გეგმის 20 პროექტი**, რომელიც საკრებულოს კომისიებისა და უშუალოდ საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს ეხებოდა.

## ► საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები

კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს სამართლებრივი აქტებია: ნორმატიული აქტი - **საკრებულოს დადგენილება** და ინდივიდუალური აქტი – **საკრებულოს განკარგულება.** საანგარიშო პერიოდში ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს წინაშე წარდგენილი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე საკრებულოს მიერ მიღებულია **696** ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომელთაგან:

- **145** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ინიციატორი უშუალოდ საკრებულო
- **551** აქტისა კი ქალაქ ზუგდიდის მერია იყო.

*დიაგრამა 3. მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა ინიციატორების მითითებით*




საანგარიშო პერიოდში საკრებულომ ზედამხედველობის ორგანოსაგან მიიღო **უარყოფითი სამართლებრივი დასკვნა 15 სამართლებრივ აქტზე**, რომელთაგან საკრებულომ ყველა გაითვალისწინა და ზედამხედველობის ორგანის წინაშე მოტივირებული უარი არ წარუდგენია.

## ► საკრებულოს წევრთა მონაწილეობა სხდომებში

ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს არ აქვს დადგენილი საკრებულოს სხდომის გაცდენისას რა შემთხვევა ითვლება საპატიო, ან არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს სხდომის არასაპატიო მიზეზად მიაჩნიათ ის შემთხვევა, როდესაც წევრი არ იმყოფება შვებულებაში ან სამსახურეობრივ მივლინებაში.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში საკრებულოს სხდომა არასაპატიო მიზეზით ყველაზე მეტჯერ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელმა **ლევან კონჯარიამ** გააცდინა, იგი 196 საკრებულოს სხდომიდან 84 სხდომას არ დასწრებია, ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე ქართული ოცნების წარმომადგენელი **კახაბერ ფარცვანიაა**, რომელიც არასაპატიო მიზეზით საკრებულოს 30 სხდომას არ ესწრებოდა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ გრაფიკში:

*დიაგრამა 4. საკრებულოს წევრთა სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის სტატისტიკა*




## საკრებულოს კომისიების მიერ ჩატარებული სხდომებისა და დასკვნების რაოდენობა

ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში მოქმედმა ხუთმა მუდმივომქედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჯამში **376** სხდომა ჩაატარა, რა დროის განმავლობაშიაც მათ მოამზადეს მოამზადეს **923** დასკვნა განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

*დიაგრამა 5: საკრებულოს სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით*



როგორც ქალაქ ზუგდიდის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციით დგინდება საანგარიშო პერიოდში საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეთიკის საკითხთა კომისიის მიერ არ გომოვლენილა ცალკეული სამართლებრივი აქტებისა და პროცედურული საკითხების რეგლამენტთან შესაბამობის შემთხვევა.

**რაც შეეხება საკრებულოს მიერ კომისიის მიერ მერიის სამსახურებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლს, მიღებული ინფორმაცია ძალზედ ზოგადია და არ არის მითითებული კონკრეტულ საკითხებზე რა ღონისძიებები განხორციელდა კომისიათა მიერ ანგარიშვალდებულ პირთა თუ ორგანოთა გაკონტროლების მიზნით და საბოლოოდ რა სახის შედეგი იქნა მიღებული.**

### გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შეიქმნა 2017 წლის 2 ივნისს, საბჭოს რაიმე სახის საქმიანობა ჯერ არ განუხორციელებია.

# თავი 3: მნიშვნელოვანი მოვლენები

## ► ზუგდიდისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმების მხარდაჭერა

2017 წლის 22 მაისს გამართულ სხდომაზე საკრებულომ ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის ინიციატივას თვითმმართველი თემი ზუგდიდისა და თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის გაერთიანების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს სხდომის გამართვამდე არ გამართულა არცერთი შეხვედრა მოქალაქეებთან, რათა საკრებულოს წევრებს მოესმინათ მოქალაქეთა პოზიცია განსახილველ საკითხზე; საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ არ გაიაზიარა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" რეკომენდაცია, რომ მხარი არ დაეჭირათ "მუნიციპალიტეტების გაერთიანებისათვის". საბოლოო ჯამში ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტმაც, რამაც ერთმნიშვნელოვნად დააზარალა ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პროცესი.

## ► სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, **მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ**.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში 10-ჯერ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, მათ შორის:

- 24.09.2015 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 5263 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ - 43.36.01.301) 1860 კვ.მ მიწის ნაკვეთი;

- 06.11.2015 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (მდებარე ქ.ზუგდიდი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N222-ში);

- 17.11.2015 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (მდებარე ქ.ზუგდიდი, ნიკოლაძის ქუჩა N3-ში);

- 01.04.2016 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილი TOYOTA LANDCRUISER LG 200;

- 28.04.2016 - ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე მდებარე 47520.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ - 43.31.74.117);

- 03.06.2016 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული ქ.ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ.N222-ში მდებარე 2275.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ- 43.31.76.223);

- 30.12.2016 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 172.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ - 43. 31.48.338);

- 05.05.2017 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ზუგდიდი, 9 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 43.31.48.363);

- 17.07.2017 - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა N2-ში მდებარე 5000.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული N1 შენობა ნაგებობის, საერთო ფართით 3493.2 კვ.მ (მათ შორის I სართული, ფართით 1594,2 კვ.მ, III სართული ფართით 601.1 კვ.მ), (ს/კ - 43.31.62.142).

## ► დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება:

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აძლევს შესაძლებლობას არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლიც ჩაატარებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის დამოუკიდებლ აუდიტს. თუმცა საანგარიშო პერიოდში ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია.

**"საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" პოზიციით, აუცილებელია საკრებულომ გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და სხვადასხვა საკითხზე დამოუკიდებელი აუდიტი მოიწვიოს - ეს გაზრდის როგორც საკრებულოსადმი სანდოობას და აღმასრულებელი რგოლების ანგარიშვალდებულებას, ასევე ხელს შეუწყობს შესაძლო ფინანსური დარღვევების გამოვლენას.**

# თავი 4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.[1] მერი **ანგარიშვალდებულია** მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.[2]

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ანგარიშები, მათ შორის ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოისმინა **3-ჯერ**.

თუმცა ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს არ მოუწოდებია ინფორმაცია თუ რა კონკრეტული მექანიზმები იქნა გამოყენებული (გარდა ანგარიშების მოსმენებისა) მერიის სამსახურებისა თუ იურიდული პირების საქმიანობის გაკონტროლების მიზნით, რა საკითხებზე იქნა შენიშვნები გამოთქმული და გაითვალისწინა თუ არა იგი შესაბამისმა უწყებამ.

1 კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა"

2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

# თავი 5. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მთელს რეგიონში:

- საკრებულოში 2015 წლს დაინერგა საინფორმაციო ცენტრი „ზუგდიდი- INFO“ - მოქალაქეები მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით იღებენ ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროექტების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ ინფორმაციას. ამავე მეთოდით მოსახლეობა იღებს ინფორმაციას საკრებულოს სხდომების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ;

- გამართულად მუშაობს საკრებულოს ვებ-გვერდი www.zugdidi.gov.ge, იგი „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ 2017 წლის იანვარში ჩატარებული კვლევით, **სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საკრებულოების ვებ-გვერდებს შორის ყველაზე გამჭვირვალე და ინფორმაციულად იქნა მიჩნეული**;

- ქალაქ ზუგდიდის საკრებულო პერიოდულად მართავს ბიუჯეტის საჯარო განხილვებს, როგორც უშუალოდ საკრებულოში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წამომადგენლებთან;

- ასევე საჯაროდ მიმდინარეობს საკრებულოს და მისი წევრების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების წარდგენა, რომელსაც როგორც წესი აქტიურად ესწრებიან მოქალაქეებიც;

- **ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში** საკვლევი პერიოდის განმავლობაში სამი პეტიცია დარეგისტრირდა შემდეგი მოთხოვნებით:

    - ქალაქ ზუგდიდში ბერიას, ხორავას, წმინდა ნინოს, ტოლსტოის, ქუთაისის, ტაბიძის და კობახიძის ქუჩებზე სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია;

    - ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე პარკირების ადგილების განსაზღვრა;

    - ქალაქ ზუგდიდში დადიანის ქუჩაზე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გიგა ოთხოზორიას სახელობის პარკის მოწყობა.

აღნიშნული საკითხებიდან: სანიაღვე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაობი დაწყებულია და იგი მოიცავს მითითებულ ქუჩებსაც; ასევე საკრებულომ განსაზღვრა პარკირების ადგილები; დადიანის ქუჩაზე მდებარე სკვერისათვის გიგა ოთხოზორიას სახელის მინიჭებაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს განხილვა

## ► ელექტრონული პეტიცია

2017 წლის მაისიდან ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში მიმდინარეობდა მუშაობა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ელექტრონული პეტიციის სისტემის დანერგვის შესახებ, წარდგენილ იქნა შესაბამისი კონცეფცია, თუმცა აღნიშნული საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დღემდე არ გატანილა.

# თავი 6: კავშირი ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება, შეუთავსებელი საქმიანობა

საკრებულოს საქმიანობის შესწავლისას მნიშვნელოვანია საკრებულოს წევრთა ბიზნესთან კავშირის დადგენა, არადეკლარირებული ქონებისა და შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევების მონიტორინგი. ამ მიმართულებით შევისწავლეთ საკრებულოს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები და საჯარო რეესტრის ვებგვერდზე არსებული საჯარო ინფორმაცია.

***კანონმდებლობის მოთხოვნა და პასუხისმგებლობა***

საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის თანახმად, აღნიშნული კანონის მიზნებისათვის თანამდებობის პირში იგულისხმება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანამდებობის პირები, რომლებიც არიან: საკრებულოს თავმჯდომარე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე. კანონის შესაბამისად პირი ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამასთანავე მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, განსაზღვრულია იმ თანამდებობის პირთა რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარციის შევსება, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად დეკლარაციის შევსების ვალდებულება აქვთ:

- **საკრებულოს თავმჯდომარეს**
- **თავმჯდომარის  მოადგილეს**
- **საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებს**
- **საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეებს**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით, რომლის თანახმად:

- საჯარო მოსამსახურეს **უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში**.
- იგი ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის გავლის ვადით სხვას გადასცეს სამართავად მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწარმოს კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი).
- საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.
- მას ასევე არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. **მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია**.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებიდან **ბიზნესთან კავშირი** აქვს **ლევან კონჯარიასა** და **თენგიზ ხარჩილავას**, ასევე **ორივე შემთხვევაში** აღნიშნული **ბიზნესინტერესები არ არის დეკლარაციაში ასახული**.

## ლევან კონჯარია - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად ლევან კონჯარია არის შპს "ელიტ ბრენდ კომპანის" 25% წილის მფლობელი, მისი შვილი ოთარ კონჯარია კი შპს "ექსპრეს პრინტინგის" 100% წილის მფლობელი არის, თუმცა მას აღნიშნული ინფორმაცია 2016 წლის ოქტომბერში შევსებული დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული.

## თენგიზ ხარჩილავა - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად თენგიზ ხარჩილავას არის შპს "ლანჯის" (ს/კ - 219996770) მეწილე და დირექტორი, თუმცა მას აღნიშნული ინფორმაცია 2017 წლის ივნისში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული.

თენგიზ ხარჩილავას წილობრივ მფლობელობაში არსებული შპს "ლანჯის" მონაცემები სამეწარმეო რეესტრში რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ისინი აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, რადგან ასეთი კომპანიები ოფიციალურად არსებობს, ეს საკრებულოს თანამდებობის პირს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ შეიტანოს ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულ კომპანიებში წილების ფლობა ან/და გავიდეს კომპანიების მმართველობიდან

# თავი 7: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები

## ► საკრებულოში გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი:

საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 444 479 ლარი იქნა გაცემული.

*დიაგრამა 6: საკრებულოში გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი*




აღსანიშნავია, რომ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში პრემია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიცემოდა, რაც შეეხება სახელფასო დანამატს, იგი გაიცა "დიდი მოცულობითი სამუშაოების შესრულებისა და ზეგანაკვეთური ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით". აღსანიშნავია, რომ სახელფასო დანამატი არ გაცემულა 2015-2016 წლებში, 2014 წელს კი გაიცა ერთხელ, ჯამში **30 950** ლარის ოდენობით, 2017 წელს კი ხუთჯერ, ჯამში **28 261** ლარის ოდენობით.

**სამივლინებო ხარჯები:**

თანამშრომელთა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში, ჯამში **5 672** ლარი იქნა გახარჯული.

**ავტომობილები და საწვავის ხარჯები:**

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოთხი ავტომობილი ირიცხება, რომლითაც სარგებლობდნენ საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს აპარატის უფროსი და 2015-2016 წლებში მიწის საკუთრების აღიარების კომისია. ბიუჯეტიდან შესწყიდული საწვავით კი 20-მდე პირი, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირები, წევრები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების შეკეთება/რეაბილიტაციაზე საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ 34 637 ლარი იქნა გახარჯული.

*დიაგრამა 7: ავტომობილების შეკეთება/რეაბილიტაციაზე გახარჯული თანხა*




საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლების მიერ **101 210** ლიტრი საწვავი იქნა გახარჯული, თუმცა **ინფორმაცია გახარჯული საწვავის ღირებულების შესახებ ქალაქ ზუგდიდის საკრებულომ სრულად არ მოგვაწოდა**, კერძოდ 2015-2016 წლებში საწვავის შესაძენად გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია. 2014 წელს საწვავის შესაძენად გახარჯულმა თანხამ 17 679 ლარი, 2017 წელს კი 37 140 ლარი შეადგინა.

*დიაგრამა 8: საკრებულოს მიერ გახარჯული საწვავი წლების ოდენობა მიხედვით*




ქალაქ ზუგდიდის საკრებულოსთვის ორი ავტომობილი იქნა შესყიდული, 2015 წელს “მიცუბიში კოლტი” - 5 500 ლარად, 2016 წელს კი “ფოლქსვაგენ ჯეტა” - 12 400 ლარად.

**სატელეკომუნკაციო ხარჯები:**

ქალაქ ზუგდიდის საკრებულომ 2014-2017 წლებში სატელეფონო კომუნიკაციაზე **23 111** ლარის ხარჯია გასწია.

*დიაგრამა 9: სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯები*



# რეკომენდაციები

თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც უახლოეს დღეებში შეიკრიბება, ერთის მხრივ, უნდა დაეყრდნოს ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინოს ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობისას გამოვლენილი ხარვეზები:

**კონტროლის განხორციელება:**

- საკრებულომ ეფექტურად უნდა გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმები: კითხვა/შეკითხვა, სხდომებზე მოწვევა, მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი.

- მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლის მექანიზმები უფლებამოსილი სუბიექტების მიერ აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული.

- საკრებულოში უნდა კონტროლდებოდეს **ზედამხედველობის განხორციელების მიზნით** დასმული კითხვა/შეკითხვების **პროცედურული წესების შესრულება** და დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მოხდეს რეაგირება, მათ შორის, ფრაქციების მიერ დაბარებული ანგარიშვალდებული პირების გამოუცხადებლობის შემთხვევებზე.

**საკრებულოს სხდომები:**

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ არ იმუშაოს რიგგარეშე სხდომების რეჟიმით, აუცილებელია რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა საკრებულოს სხდომა იყოს გეგმიური;

- საკრებულოს ოპერატიული მუშაობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ საყურადღებოა სათათბირო ორგანოს მუშაობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ინტერესთა ჯგუფების მობილიზება, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობა, სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობა და ა.შ., რასაც მნიშვნელოვნად აფერხებს რიგგარეშე სხდომების სიხშირე. შესაბამისად, აუცილებელია, ზუგდიდის საკრებულომ წინასწარვე იზრუნოს მუშაობის საორგანიზაციო მხარეზე და მნიშვნელოვნად შეამციროს რიგგარეშე სხდომების და მასზე განსახილველი საკითხების რიცხვი.

**ანგარიშვალდებულება:**

- საკრებულოს წევრები მაღალი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნონ სხდომებში მონაწილეობის საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს, თუ რა ითვლება სხდომის გაცდენის არასაპატიო მიზეზად, ასევე უნდა დაზუსტდეს თუ რა კონკრეტულ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი საპატიო მიზეზით სხდომების გაცდენა (ოჯახური მდგომარეობა);

- საკრებულოს წევრებმა **სწორად უნდა შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები**, ასახონ საკუთარი და ოჯახის წევრების კომპანიებში კუთვნილი წილები და კანონით დადგენილი წესით დატოვონ კომპანიების მმართველი პოზიციები,

**პრემია/დანამატების გაცემა:**

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პოზიციით, დაუშვებელია პრემიის გაცემა საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, პრემია უნდა გაიცეს მხოლოდ მოხელის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების სანიმუშოდ შესრულების სანაცვლოდ;

**ადმინისტრაციული ხარჯები:**

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯი, მათ შორის ავტომობილების შეძენა/შეკეთებაზე, საწვავის შესყიდვაზე, სატელეფონო კომუნკაციაზე თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოსათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების შესაბამისად და რაციონალურად უნდა განხორციელდეს.

**გამჭვირვალობა:**

- მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობის ყველა იმ მექანიზმის ამუშავებას, რომელიც თვითმმართველობის კოდექსით არის განსაზღვრული;
- ასევე განაგრძოს ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში დამკვიდრებული საჯარო განხილვების, გასვლითი შეხვედრების, სმს სერვისით მოქალაქეთა ინფორმირების, ბიუჯეტის პროექტის განხილევბის პრაქტიკა;
- საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჰქონდეს **ცალკე, საკუთარი ვებ-გვერდი** სადაც განთავსდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია;
- გამჭვირვალობის სტანდარტის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მიღებულ იქნეს **პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა;**
- მნიშვნელოვანია, რომ **საკრებულოს მხრიდან მოხდეს ზუსტი და სრული ინფორმაციის გაცემა**, რათა საკრებულოს საქმიანობა და ცალკეული სუბიექტების აქტივობისა და გაწეული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისათვის იყოს გამჭვირვალე და ღია. საკრებულოს **ვებ გევრდზე უნდა გამოქვეყნდეს** შემდეგი სახის ინფორმაცია:
    - სამართლებრივი აქტების თავდაპირველი ვერსია ინიციატორის/ავტორის მითითებით, განმარტებითი ბარათები, სხდომებზე გამოთქმული შენიშვნების ამსახველი დოკუმენტი
    - კონტროლის განხორციელების მიზნით დასმული კითხვები/შეკითხვები
    - საკრებულოს წევრთა სხდომებში მონაწილეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ინდივიდუალურად წევრთა მიერ სხდომების საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ
    - საკრებულოს წევრთა მიერ გაწეული წარმომადგენლობით ხარჯების შესახებ ინფორმაცია
    - წინა მოწვევის საკრებულოების შესახებ ინფორმაცია
    - ცალკე განთავსდეს საკრებულოს წევრთა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმები
    - საკრებულოს წევრების, თანამდებობის პირების, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და სხდომის ოქმები